საქართველოს წლევანდელი ჩემპიონები ჭიდაობა სამბოში

ზედა რიგში, მარცხნიდან — თ. ხოსიტაშვილი, ჯ. ხორბალაძე, გ. მარიდაშვილი, ო. ნათელაშვილი, ა. გოგავა, გ. გოგოლაური; ქვედა რიგში — გ. კახაბრიშვილი, ა. ზურაბაული, გ. თანდილოვი და გ. ონაშვილი.

ფოტო ი. იუნაევისა.

(შეჯიბრების ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 35
(3774)
19
1969 წ.
თებერვალი.
ოთხშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
25-ე წელი.

უძლიერესთა გარეშე

ბაკურიანი, 18 თებერვალი (ტელეფონით). სამთომოთხილამურეებმა უკვე დაამთავრეს შეჯიბრება ორ დისტანციაზე — I და II გიგანტურ სლალომში. მართალია, რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენები ტურნირში არ მონაწილეობენ, მაგრამ ჩემპიონატის შედეგები მაინც დამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ამ შეჯიბრებამ ამბროლაურის, ლენტეხის, ცაგერის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის სპორტსმენთა ტექნიკის ზრდა დაადასტურა: წინა ჩემპიონატებში ამ რაიონების სამთომოთხილამურენი ტრასას ვერ ამთავრებდნენ, ახლა კი სურათი შეიცვალა.

წლევანდელ ჩემპიონატში აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის ნაკრებში იკლო ბაკურიანის მკვიდრთა რიცხვმა. მათი ადგილი თბილისელმა ახალგაზრდებმა დაიკავეს. დედაქალაქის ახალგაზრდა სპორტსმენებმა თამამად შეცვალეს ვეტერანები.

I გიგანტური სლალომის ტრასა კოხტაგორაზე მოეწყო. დისტანცია 1500 მეტრს უდრიდა (სიმაღლეთა სხვაობა 430 მ, 30 კარი). ვაჟებში ყველაზე კარგად ბორჯომის გუნდის წევრმა ლ. ხუბაევმა იარა — 1.31,6, მან 2,6 წამით ჩამორჩა ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი გ. მიქაბერიძე, სამაგიეროდ, ამ უკანასკნელმა 1 წამით აჯობა მესტიელ ი. ღარიბაშვილს — 1.35,2. ვეტერანმა ო. ხვედელიძემ (ბორჯომი) კვლავ კარგი მომზადება გამოავლინა და IV ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია გ. ლომინაძის (თბილისი) წარმატება. იგი ტოლს აღარ უდებს ბაკურიანის ტრასებზე ნაწრთობ სპორტსმენებს, რაც II გიგანტურ სლალომშიც (სიგრძე 1400 მ, სიმაღლეთა სხვაობა 430 მ, 23 კარი) დამტკიცდა. მართალია, გამარჯვება ამჯერადაც ხუბაევს ხვდა — 1.25,0, მაგრამ წინადღის მაჩვენებლები სხვებმაც გააუმჯობესეს, მათ შორის ლომინაძემაც—1.31,2. ამ უკანასკნელმა IV ადგილზე გადაინაცვლა. ამჯერად მეორე იყო ე. გუჯეჯიანი (თბილისი) — 1.28,3. მიქაბერიძემ ერთი ადგილით უკან დაიხია — 1.30,2, სამაგიეროდ, სამთოელთა ტურნირში ორი სახეობის შემდეგ იგი II ადგილს ინარჩუნებს.

ქალებიც ამ ტრასებზე ასპარეზობდნენ. I და II ადგილები ორივეჯერ თბილისის გუნდის წევრებმა ნ. ომიაძემ (1.41,8, 1.41,2) და ზ. გავამ (1.56,8; 1.46,4) დაიკავეს. მართალია, პირველ დღეს II ადგილი გავასთან ერთად მ. ცარიტოვამ (ბორჯომი) გაიყო, მაგრამ მეორე დღეს ბორჯომელმა IV შედეგი (1.51,2) აჩვენა. მას გაასწრო თანაგუნდელმა თ. კოზანაშვილმაც — 1.49.0.

სამთომოთხილამურეთა შეჯიბრებამ რამდენიმე ნორჩი, ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. მაგრამ ტურნირმა ისიც გამოააშკარავა, რომ მოთხილამურე ქალებთან მუშაობა ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო დონეზე.

რესპუბლიკური ჩემპიონატის მეორე დღეს გაიმართა რბოლებიც. ქალები ამჯერად 10, ხოლო ვაჟები 30 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. ახლაც შედარებით დამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ მესტიელი ზ. გულბანი და თბილისელი კ. ქეხბა. ქეხბამ 10 კილომეტრის გავლას 44.07,0 მოანდომა. მან 4,32 წამით მოუგო II პრიზიორს, თანაგუნდელ ა. კაზაკოვას, ხოლო III ადგილზე გასულმა ლ. ჯაფარიძემ (მესტია) 50.47,0 აჩვენა. თუ ეს შედეგები II თანრიგის ნორმატივზე უკეთესია, სხვები III თანრიგსაც ვერ შესწვდნენ. მესტიელმა ნ. რატიანმა, რომელმაც V ადგილი დაიკავა, 10 კილომეტრის გავლას ერთ საათზე მეტი მოანდომა.

ვაჟთა რბოლაში გულბანმა 30 კილომეტრი 2 საათსა და 18 წამში დაფარა. მას სულ რაღაც 58 წამი დააკლდა I თანრიგის ნორმატივამდე. II და III პრიზიორები ლ. სოლოიანი (ბოგდანოვკა)—2:07.05,0 და რ. მაკიევი (ბორჯომი) — 2:07.59,0 ლიდერს საგრძნობლად ჩამორჩნენ.

ვ. ფანჯაკიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

უკანასკნელი საათი!

◆ **მოსკოვი,** 18 თებერვალი. არმიელ სპორტსმენთა შეჯიბრებაზე ჭოკით ხტომაში ახალი საკავშირო მიღწევის ავტორი გახდა ხარკოველი გ. ბლიზნეცოვი, რომელმაც 513 სმ დაძლია და 3 სმ-ით გააუმჯობესა თავისივე წინანდელი რეკორდი. იგი კონკურსგარეშე ასპარეზობდა.

◆ **ესტერსუნდა,** 18 თებერვალი. შვეციის ჩემპიონი 30 კმ-ზე თხილამურებით რბოლაში გახდა ჰ. ლარსენი, 15-გრადუსიან ყინვაში მან დისტანცია დაფარა 1 საათსა, 40 წუთსა და 16 წამში.

◆ **ჰელსინკი,** 18 თებერვალი. ფინეთის ჩემპიონი 30 კმ-ზე სათხილამურო რბოლაში გახდა რ. ლეჰტონენი — 1:39.06. 10 კმ ქალთა რბოლა მოიგო მ. მუტილაინენმა — 37.27. კოუვოლაში ორჭიდში ქვეყნის ჩემპიონი გახდა რ. მიეტინენი — 457,55 ქულა. აქვე ტრამპლინიდან ხტომაში ქვეყნის ჩემპიონობა მესამედ მოიპოვეს ტ. მატილამ — 223,1 ქულა (ნახტომები 71 და 73 მ).

მოსკოვში გაიხსნა ტრადიციული ფოტოგამოფენა „საკდეს-68“. აქ გამოფენილია 100-ზე მეტი ავტორის დაახლოებით 400 ნამუშევარი. ფოტოგამოფენა ასახავს საბჭოთა ხალხის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს. აქ წარმოდგენილია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის, კოსმოსის ათვისების, საბჭოთა ადამიანების შრომის, დასვენების, სწავლისა და სხვა საქმიანობის ამსახველი ფოტოსურათები. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებული მზადების ამსახველი სტენდი ცალკეა წარმოდგენილი.

* * *

სურათზე თქვენ ხედავთ ამ ფოტოგამოფენაზე წარმოდგენილ ერთ-ერთ ნამუშევარს, კუიბიშეველ ა. ბრიანოვის სურათს „ტანმოვარჯიშე ბატუტზე“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

არ კმარა ბაზები, კადრები

ცურვის საქალაქო აქტივმა იმსჯელა

სტარტზე...

ფოტო ო. გელაშვილისა.

თბილისში გაიმართა ცურვის საქალაქო აქტივის კრება, რომელმაც შარშანდელი სეზონის შედეგები შეაჯამა და დასახა სამერმისო ამოცანები. აქტივზე მოხსენებით გამოვიდა ქალაქის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ლ. იოაკიმიდი.**

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **მ. ტატიშვილმა,** საკავშირო კატეგორიის მსაჯმა **კ. რევიამ,** „მოლოდიოჟ გრუზიის“ სპორტული განყოფილების გამგემ სპორტის ოსტატმა **ბ. კამენსკიმ,** საქართველოს განათლების სამინისტროს უმაღლესი დაოსტატების სკოლის მეთოდისტმა **გ. დათაძემ,** პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **ხ. ილიინმა,** თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის სპორტული განყოფილების გამგემ **გ. შონიამ,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ცურვაში **ხ. კალანდაძემ** და ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **გ. რცხილაძემ.**

მომხსენებელი და მოკამათენი ლაპარაკობდნენ თბილისელი მოცურავეების მიერ მოპოვებულ წარმატებებზე, მათს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე. ითქვა, რომ დედაქალაქის სპორტსმენებმა შარშან 42 ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. კარგად გამოვიდნენ დინამოელები. თ. ლეკვეიშვილმა, მაგალითად, 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში სსრ კავშირის ჩემპიონობა დაისაკუთრა, 200 მეტრზე კი II ადგილი დაიკავა და მეხიკოს ოლიმპიადის საგზური მიიღო, ა. იოაკიმიდი წახკაძორში გამართულ საკავშირო ტურნირში მეორე იყო 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მან წარმატება მოიპოვა ბერლინშიც, სადაც სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა შეჯიბრებაში 1500 მეტრზე პირველობა მოიგო. იმავე ტურნირში სხვადასხვა დისტანციაზე საპრიზო ადგილები დაიკავეს ი. კირდიანოვმა და პ. შიხიკიანმა, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში უძლიერესნი იყვნენ ლეკვეიშვილი, ა. იევლევი, ვ. გონჩაროვი. დინამოელები, განთიადელები, „შრომითი რეზერვების“ მოცურავეები კარგად გამოვიდნენ საკავშირო ტურნირებში... სულ თბილისელმა მოცურავეებმა 26 რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესეს და 14 მიღწევა დაამყარეს. ამ წარმატებაში სათანადო დამსახურება მიუძღვით მწვრთნელებსაც: მ. ტატიშვილს, ი. ნათაძეს, ა. სულავას, თ. მძინარიშვილს, ლ. მარგუნენკოს, კ. პოტაპოვს, რ. ერვანდიანს და სხვებს. ნაყოფიერად იმუშავა „დინამოსა“ და „განთიადის“ ჯგუფებმა.

სიტყვით გამოსულებმა ილაპარაკეს ხელშემშლელ მიზეზებსა და მუშაობაში არსებულ ხარვეზებზეც. აქტივმა ყურადღება გაამახვილა თბილისელი სპორტსმენების სსრ კავშირის ხალხთა მომავალი, V სპარტაკიადისთვის მზადების საკითხზე. ამიტომ ორატორები დაუფარავად ამხილებდნენ ნაკლოვანებებს. მათ თქვეს, რომ თბილისში განსაკუთრებით დაბალია მოცურავე ქალთა შედეგები. ლეკვეიშვილის მეტმა შარშან ვერავინ მოიპოვა რაიმე სერიოზული წარმატება. ამის მიზეზი ცურვის სწავლების მეტად დაბალი დონეა. რესპუბლიკური რეკორდები ზოგიერთ სახეობაში თითქმის 10 წლიწადს ითვლის.

თბილისში მოცურავეთა აღზრდის საქმეს 46 მწვრთნელი ემსახურება, მაგრამ მათი უმეტესობა ცუდად მუშაობს. თითო მწვრთნელი ყოველწლიურად თუნდაც თითო მაღალკვალიფიციურ სპორტსმენს რომ ზრდიდეს, საკავშირო სარბიელზე ისე არ შევრცხვებოდით, როგორც ეს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში მოხდა. არიან მწვრთნელები, რომლებიც აღსაზრდელებს ცუდ მაგალითს აძლევენ, მეცადინეობაზე მოუმზადებელნი მიდიან, კონსპექტს არ ადგენენ. ერთი ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლისას თან მიჰყავთ თავიანთი მოწაფეები, ზოგიერთი ათასგვარი დაპირებით ცდილობს სხვა მწვრთნელების აღზრდილთა გადაბირებას. მომხსენებელიცა და მოკამათენიც რატომღაც მოერიდნენ ასეთი მწვრთნელების დასახელებას. მწვრთნელების კარგ მუშაობას ისიც უშლის ხელს, რომ არ ეწყობა კონკურსდათვალიერებები.

მომავალი საკავშირო სპარტაკიადისთვის დიდი არჩევანი არა გვაქვს, ვინაიდან ბევრი ძლიერი სპორტსმენი გუნდიდან წავიდა, მათი შემცვლელები კი ჯერ არ ჩანან. სარბიელზე დარჩენილთა ნაწილი ტექნიკის სრულყოფისთვის აღარ ზრუნავს. ზოგისთვის სპორტი უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობ ტრამპლინად გადაიქცა და რაკი ეს მიზანი შეისრულეს, ვარჯიშს უკლეს. მაგალითად, დაასახელეს თ. წყაროველი, მ. ცქიტიშვილი, ვ. შამყულაშვილი, ზ. ლუბჩენკო, ა. პოლუნინი, ზ. ხურცილავა და სხვანი. ითქვა, რომ ხშირად შეიმჩნევა სპორტული წვრთნის რეჟიმის დარღვევაც. მაგრამ მწვრთნელები და სპორტული ორგანიზაციები ამას ყურადღებას არ აქცევენ.

ბევრი ითქვა მსაჯის როლზე მოცურავეთა აღზრდაში, აღინიშნა მსაჯთა კვალიფიკაციის დაბალი დონე. თქვეს, რომ I, II და III კატეგორიის მსაჯებს შორის ზღვარის მოსპობამ მსაჯობის ხარისხი გააუარესა. ეს იმიტომ მოხდა, რომ, ჯერ ერთი, დამსახურებულ არბიტრებს, რომლებმაც I კატეგორიამდე მიაღწიეს, საქმისადმი ინტერესი გაუნელდათ, მეორეც, უფრო დაბალი კვალიფიკაციის მსაჯები სხვათა ზურგს ეფარებიან და ფონს იოლად გასვლას ფიქრობენ. აღნიშნეს, რომ ზედმეტი არ იქნებოდა მსაჯთა კადრების ხელახალი ატესტაცია, ვინაიდან თბილისში ცურვის ასამდე მსაჯია, ტურნირებზე კი ხშირად არბიტრები არ ჰყოფნით.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მსაჯთა მუშაობის შეფასება-აღრიცხვასაც, მთავარმა მსაჯმა სარბიელზე არ უნდა დაუშვას ისინი, ვისი ფორმა და მომზადების დონე მოთხოვნებს არ შეეფარდება, ზოგიერთი მსაჯი თავის მოვალეობას სერიოზულად არ ეკიდება, ყურადღებას არ აქცევს სპორტსმენთა მოქმედებას, ცურვის ტექნიკასა და წესის დარღვევას. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ ხშირად მწვრთნელები მსაჯობენ, ისინი კი მაამებლობის გზას ადგანან, შეჯიბრებიდან არ ხსნიან თავიანთი კოლეგების აღზრდილებს. ხომ შეიძლება ასეთივე შეცდომა მათმა მოწაფეებმაც დაუშვან?

აქტივზე შეჯიბრების ჩამტარებელ ორგანიზაციებსაც უსაყვედურეს, რომ ისინი ხშირად დებულებას უხეიროდ ადგენენ, შეჯიბრებებს არ ესწრებიან, ხანდახან კი მსაჯებს თავად უბიძგებენ სიყალბისკენ. ეს განსაკუთრებით მაშინ შეიმჩნევა, როცა გეგმების შესრულება უჭირთ.

რატომ არის, რომ ნაკრები გუნდის წევრთა უმეტესობა „დინამოს“ წარმომადგენელია. საქმე ისაა, რომ ჯერჯერობით „დინამოს“ ვარჯიშის ყველაზე უკეთესი პირობები აქვს და კარგ სპორტსმენებსაც ზრდის. ბოლო წლებში ცუდად არც „განთიადი“ მუშაობდა, მაგრამ რაც ორთაჭალის აუზი „სპარტაკს“ გადაეცა და „უშბის“ აუზი დაიხურა (წყლის გასათბობად გაზს არ აწვდიან) ბავშვთა სპორტსკოლის საქმიანობა შეფერხდა. მეტი მოეთხოვება „სპარტაკს“, მაგრამ მისი უფროსი მწვრთნელი ი. ქართველიშვილი ცუდად მუშაობს, ფონს გასვლას სხვების აღზრდილი სპორტსმენების გადაბირებით ცდილობს.

სრული დატვირთვით არც „ლოკომოტივი“ მუშაობს. ამ საზოგადოების ერთადერთი მწვრთნელი დ. მაჭარაშვილი საათობრივ ანაზღაურებაზეა. საკუთარი ბაზა არ აქვთ, თუმცა სხვა მხრივ საგზაო საბჭოს დახმარება იგრძნობა.

თბილისში ცურვის უკეთ განვითარებისთვის არ ზრუნავენ „ბურევესტნიკი“ და მისი ფიზკულტურული კოლექტივების — უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდის კათედრები.

აქტივის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ბაზების მდგომარეობაზე. მწვრთნელებს ხშირად გვსაყვედურობენ, როცა თბილისში თითქმის არ იყო აუზები, უფრო მეტი მოცურავეები გვყავდაო, — ითქვა კრებაზე. — სწორია, მაგრამ მაშინ დიღმიდან ორთაჭალამდე მტკვარზე სარბიელი ღია იყო, ზაფხულობით ცურვას ათასობით თბილისელი სწავლობდა, მათგან საუკეთესონი კი ტექნიკას აუზში ხვეწდნენ. ახლა? სანაპიროების მშენებლობამ ხელიდან გამოგვაცალა მასობრივი სწავლების შესანიშნავი ბაზა, ქალაქად არსებული აუზებიდან კი სამოსწავლო აბაზანები მხოლოდ „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ბაზებზეა.

კუსა და ლისის ტბებზე, თბილისის ზღვაზე ცურვის მასობრივად სწავლება არ ხერხდება, რადგან ეს ადგილები მოუწყობელია საამისოდ, არ ჰყავთ ინსტრუქტორები, წყლის ტემპერატურა ნორმალურზე დაბალია.

ქალაქში ყველაზე კეთილმოწყობილია ვაკეში მდებარე აუზი, თუმცა ამ ბაზასაც უამრავი ნაკლი აქვს: ვენტილაცია არ ვარგა, საფასური ძვირია. „შრომითი რეზერვების“ აუზზე ცუდი განათებაა, არ არის საშხაპეები, გასახდელები მოუწყობელია. ქალაქის მესამე დახურული აუზი „დინამოს“ სტადიონზე იყო მოწყობილი, მაგრამ იგი სტადიონის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით დროებით წყვეტს საქმიანობას.

რაც შეეხება ღია აუზებს გათბობით, მათში საუკეთესოა „სპარტაკის“ ბაზა, რომელსაც სამი აბაზანა აქვს. მაგრამ აქ წყალი ცუდად იფილტრება, ღამე ვარჯიშისთვის განათება არ კმარა, ბილიკების სიგრძე ნორმალურზე ნაკლებია. ეს აუზი პირველ ყოვლისა მოითხოვს ყურადღებას, ვინაიდან აქაა დანიშნული გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზის წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი. სასპარეზოდ 600-მდე სპორტსმენი ჩამოვა, მასპინძლებს კი ბევრი რამ ევალებათ.

კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის აუზზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ერთ დროს იგი შესანიშნავად ასრულებდა მოვალეობას, აქ ტარდებოდა ვარჯიშები, საქალაქო და რესპუბლიკური ტურნირები, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. აგერ უკვე რამდენი წელია საშველი არ დაადგა აუზის შეკეთებას, სწორედ ამიტომაა, რომ კიროველთა გუნდმა დათმო მოწინავე პოზიციები, ვერარსად ემზადება პროფკავშირების სპარტაკიადისთვის.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუზი 5 წელიწადს უწყლოდ ცდებოდა, ახლა რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და არავინ იცის, როდის დამთავრდება.

ქალაქის სხვა აუზები არ თბება და ამიტომ უმეტესად გამოუსადეგარია (არმიელთა სპორტკლუბის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ბაზები). საავიაციო ქარხნის აუზს ყოველთვის ვერ ვიყენებთ. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბაზა ადმინისტრაციამ დახურა. ქარხანა ცენტროლიტის აუზში მაზუთი ჩაასხეს, წყალში სახტომი კოშკები კი მოხსნეს.

რაც შეეხება ახალი ბაზების მშენებლობას, აქ თითქმის უნუგეშო მდგომარეობაა. თბილისის განათლების განყოფილების აუზის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა ექვსჯერ გადაწიეს. ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის 3-აბაზანიანი აუზის მშენებლობა (ეს ბაზა სანაპიროზე არსებული აუზის დანგრევამდე უნდა აეგოთ) 1966 წელს დაიწყო და შეჩერდა. „დინამოს“ 4-აბაზანიანი აუზის მშენებლობა, რომელიც ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზეა დაგეგმილი, მხოლოდ იმიტომ არ იწყება, რომ პროექტის დამტკიცება გაჭიანურდა.

აქტივის კრებაზე ბევრი საჭირბოროტო საკითხი წამოჭრეს, ბევრი ხელშემშლელი ფაქტი დაასახელეს და რწმენა გამოთქვეს, რომ ცურვის საქალაქო ფედერაციის ეს ღონისძიება უკვალოდ არ ჩაივლის: ფედერაციის ხელმძღვანელობა საქალაქო კომიტეტთან ერთად იზრუნებს, რათა ხელსაყრელი პირობები შეიქმნას თბილისში სპორტის ამ სასარგებლო სახეობის განვითარებისთვის.

პატარა საწარმოს სპორტსმენები

პეტრე მელცოვს დიდი თანამდებობა არ უჭირავს, — საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტია. არც თბილისის ქაღალდის ფაბრიკაა განსაკუთრებით დიდი საწარმო. მთელი მისი „მოსახლეობა“ რომელიმე მსხვილი ქარხნის ერთ საამქროში მოთავსდებოდა. მაგრამ ეს როდია მთავარი. დღეს ფაბრიკის ყოველი მესამე მუშა (სულ 260 კაცი) სპორტის რომელიმე სახეობაში ვარჯიშობს. ეს ადვილი მისაღწევი როდი იყო. წლინახევრის წინ პეტრემ სულ რამდენიმე ოქმი და ერთი გაშლილი მინდორი მიიღო მემკვიდრეობად. მეთოდისტმა ფეხბურთის მინდვრის მოწყობა გადაწყვიტა. საქმე გაკეთდა. მინდორი ფეხბურთელებმაც მოიწონეს, ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმაც და დირექციამაც. დირექტორი ო. გამცემლიძე ყოფილი ფეხბურთელია და სპორტსმენებს მუდამ მხარში უდგას.

ჩატარებული ღონისძიებები პეტრეს ცალკე რვეულში აქვს აღნუსხული. რამდენიმე შეჯიბრებით დავინტერესდი. შარშან თებერვალში წისქვილკომბინატის მაგიდის ჩოგბურთელები დაუმარცხებიათ ამხანაგურ შეხვედრაში, აპრილში 6 მსროლელი „განთიადის“ საქალაქო შეჯიბრებაში მონაწილეობდა, სამმა თანრიგოსნის სახელი მოიპოვა. ყველაზე მოსავლიანი სექტემბერი გამოდგა. ფაბრიკის სპორტსმენები პირველად მონაწილეობდნენ სატყეო, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის სპარტაკიადაში. სპორტსმენები ძალიან ღელავდნენ, — გვიამბობს პეტრე, — მაშინ კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი უშანგი თბოლაშვილი ამომიდგა მხარში, ბიჭები გაამხნევა. ვ. კუჭავამ მესამე თანრიგის ნორმატივი შეასრულა მაგიდის ჩოგბურთში. კუჭავამ და მისმა ამხანაგებმა სპარტაკიადაში III ადგილი დაიკავეს. მათ მხარი აუბეს მოშაშვეებმა და ფეხბურთელებმაც, მოჭადრაკეები II ადგილზე გავიდნენ. ასეთი იყო დებიუტი.

რასაკვირველია, მარტო ერთი კაცი ამ საქმეს ვერ გააკეთებდა. დაეხმარნენ აქტივისტებიც, მაგალითად, თ. მეგრელიშვილი, გ. აკოფოვი, ზ. ხვედელიძე, ა. ალადაშვილი და სხვები.

ვ. ზუკინი.

მკაცრად გააკრიტიკეს

დოსააფის ორგანიზაციების კონფერენციებზე

გაიმართა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების აჭარის VIII კონფერენცია.

მომხსენებელმა, აჭარის დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ შ. მანელიშვილმა ილაპარაკა თავდაცვითი მასობრივი მუშაობის დიდ მნიშვნელობაზე. მან აღნიშნა, რომ მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისთვის ფართოდაა გამოყენებული ლექციური პროპაგანდა, აჭარის ბევრ სკოლაში მოეწყო საბრძოლო დიდების მუზეუმები და ოთახები, შინმოუსვლელთა სტენდები, შეადგინეს ფოტოალბომები, დიდი ყურადღება ექცევა კადრების მომზადებას. ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევიან ბათუმის ნავსადგურის, საზღვაოსნო სასწავლებლის და სხვა ორგანიზაციები. ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში დიდ როლს ასრულებენ სასწავლო პუნქტებიც. კარგად მუშაობენ დაგვის კოლმეურნეობისა და გონიოს საბჭოთა მეურნეობის, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის სასწავლო ორგანიზაციები.

— სამწუხაროდ, — თქვა მომხსენებელმა, ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ფაბრიკა-ქარხანაში სასწავლო პუნქტების კეთილმოწყობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ აჭარის დოსააფის ორგანიზაციებში საგრძნობლად იმატა შეჯიბრებების რიცხვმა სპორტის ტექნიკურ სახეობებში. სამმა სპორტსმენმა სპორტის ოსტატის, ხოლო 7 — ოსტატობის კანდიდატის წოდება მოიპოვა. პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა 148 სპორტსმენმა, მეორე თანრიგისა — 958, მესამე თანრიგისა — 4.110 კაცმა. ჭაბუკ თანრიგოსანთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ 1968 წელს აჭარის ავტოსამოდელო სპორტის მოყვარულებმა საქართველოს პირველობა მოიპოვეს; სპეციალისტთა კადრების მომზადებისთვის კარგად მუშაობენ ბათუმის ავტო-მოტო და რადიოკლუბები.

მომხსენებელი შეეხო კადრების მომზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებსაც. მან აღნიშნა, რომ ხულოს რაიონული კომიტეტი უსისტემოდ მუშაობს, ასევე საყვედურის ღირსია დოსააფის ბათუმის საქალაქო კომიტეტიც.

კამათში გამოსულებმა: აჭარის ალკკ საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ თ. ბოლქვაძემ, დოსააფის აჭარის კომიტეტის რადიოკლუბის უფროსმა ს. ვერხოვსკიმ, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ს. ჩილაჯიანმა, აჭარის სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელმა ო. თავბერიძემ, დოსააფის შუახევის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ცაცაიანმა, თადარიგის პოლკოვნიკმა ა. ბაჯელიძემ, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა მ. ცინცქილაძემ ყურადღება გაამახვილეს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხზე. მათ აღნიშნეს, რომ არასრულყოფილია მძღოლთა მომზადების დონე, დოსააფის ორგანიზაციებში მოუგვარებელია სასწავლო იარაღების აღრიცხვისა და გამოყენების საქმე. საქალაქო კომიტეტი სათანადოდ არ ზრუნავს ტირების კეთილმოწყობისთვის.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა დოსააფის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. აბულაძე.

კონფერენციამ დოსააფის აჭარის რესპუბლიკური კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა, დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში, მიიღო დადგენილება.

დოსააფის აჭარის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია შ. მანელიშვილი, მოადგილედ — კ. კაზანჯიანი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ხ. ჩიჯავაძე.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.)

ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნე საფეხბურთო კონტინენტზე

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი გ. კაჩალინი თითქმის ორ კვირას ამოწმებდა თავის გუნდს სოხუმში. 12 თებერვალს ნაკრები ლათინური ამერიკის ქვეყნებში გაემგზავრა ტურნეს ჩასატარებლად. იგი შეხვდება გამართავს კოლუმბიის, პერუს, ბრაზილიის, ვენესუელისა და ჩილის გუნდებთან. საბჭოთა ფეხბურთელების გამგზავრებამდე აას-ის კორესპონდენტი გ. კონოვალიუკი შეხვდა გ. კაჩალინს და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● **1963 წლამდე თქვენ სათავეში უდექით სსრ კავშირის ნაკრებს, რომელიც იმ დროს ევროპის თასის მფლობელი იყო. რა შეგიძლიათ გვითხრათ, როცა იმ წლების გუნდს დღევანდელ ნაკრებს ადარებთ?**

— ნაკრების ძველი შემადგენლობა გაცილებით უფრო გამოცდილი იყო, მაგრამ ახლანდელი, ჩემი აზრით, უფრო ნიჭიერია. წარსულ წლებში სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშეთა საშუალო ასაკი 27-28 წელი იყო, ახლა გუნდი თითქმის 5 წლით გაახალგაზრდავდა. ეს კი ფეხბურთში ბევრს ნიშნავს.

● **მიგაჩნიათ თუ არა, რომ ნაკრების ახალ შემადგენლობაში ქვეყნის ყველაზე უკეთესი ფეხბურთელები არიან შეყვანილი?**

— ამის მტკიცება არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ ცნება „უკეთესი“ მეტისმეტად ინდივიდუალურია. ყოველ მწვრთნელს აქვს თავისი გემოვნება, თავისი შეხედულებები თამაშის ტაქტიკურ ნახაზზე. შეიძლება ჩემი არჩევანი ისეთი არ იყოს, როგორიც ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელობისა. მაგრამ რას იზამ? ყველაზე გამოცდილ სპეციალისტებსაც კი ხშირად სხვადასხვა შეხედულება აქვთ ხოლმე.

● **რა მიზნებს უსახავთ სსრ კავშირის ნაკრებს ლათინურ ამერიკაში ტურნეს დროს?**

— როგორც მოგეხსენებათ, წლევანდელ სეზონში სსრ კავშირის ნაკრებს ძნელი გამოცდა ელის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში. მექსიკის საგზურს მოგვცემს მხოლოდ პირველი ადგილი ჯგუფში. ესე იგი, შემოდგომით უნდა დავამარცხოთ თურქეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნული გუნდები. მომავალი ბრძოლებისთვის ნაკრების შემადგენლობის გადასახალისებლად დრო არც ისე ბევრი გვაქვს. ტურნე ლათინურ ამერიკაში პირველი ეტაპია ამ თამაშებისთვის სსრ კავშირის ნაკრების მზადებისა. ახლა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალბედების შემოწმება, რგოლებსა და ხაზებს შორის კავშირის განსაზღვრა, შემადგენლობის რამდენიმე ვარიანტის გამოცდა.

● **რა შეგიძლიათ გვითხრათ ახალი ანსამბლის თამაშის ტაქტიკაზე, როგორია თქვენი გეგმები?**

— მე დაცვითი ფეხბურთის მომხრე არა ვარ. როგორც სპორტის მოყვარულთა უმეტესობა, მეც მოწყენილი ვარ ხოლმე სტადიონზე, როცა „ბეტონისა“ და „ზებეტონის“ მომხრეები ხვდებიან ერთმანეთს. მომწონს შემტევი ფეხბურთი, ტემპერამენტიანი, ვაჟკაცური, სათამაშო სიტუაციების სწრაფი ცვლა. ამიტომ მე ნაკრებში მოვიწვიე ახალგაზრდა, ფიზიკურად მაგარი და სწრაფი მოთამაშეები. ვეცდები ისე მოხდეს, რომ საბჭოთა გუნდის მატჩებზე მაყურებლები მოწყენილი არ იყვნენ და, რაც მთავარია, გულგატეხილნი არ დარჩნენ.

● **ვინ მიდის თქვენთან ერთად ლათინურ ამერიკაში?**

— გუნდში შედის ქვეყნის 9 სხვადასხვა კლუბის 19 მოთამაშე. მეკარე ორი გვყავს: **იური პშენიჩნიკოვი** და **იური დეგტიარევი**. პშენიჩნიკოვი 28 წლისაა, ტანად 182 სმ-ია, 75 კგ-ს იწონის. იგი ცსკა-ს კლუბში თამაშობს. დეგტიარევი 22 წლისაა, ტანად 174 სმ, წონით 74 კგ. იგი „შახტიორის“ (დონეცკი) წარმომადგენელია. სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების სახელით გამოდიოდა და მის შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. 1968 წელს იგი ოლიმპიურ ნაკრებში ჩაირიცხა და სსრ კავშირის ეროვნულ გუნდში დებიუტი ჰქონდა.

დაცვაში ლათინური ამერიკის მინდვრებზე შვიდ მოთამაშეს გამოვცდით. ესენი არიან: **ვლადიმერ პონომარიოვი** (29 წლისა, 177 სმ, 70 კგ. ცსკა-ს მოთამაშე. ნაკრების ვეტერანი, ამ გუნდის შემადგენლობაში 22 მატჩი ითამაშა), **ალბერტ შესტერნიოვი** (26 წლისა, 183 სმ, 83 კგ. სპორტის დამსახურებული ოსტატი, ნაკრებისა და ცსკა-ს კაპიტანი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების მონაწილე 1962 წლიდან), **ვლადიმერ კაპლიჩნი** (22 წლისა, 181 სმ, 78 კგ. ცსკა. ნაკრების შემადგენლობაში 10 შეხვედრა ჰქონდა), **ვიქტორ ლისენკო** (21 წლისა, 191 სმ, 87 კგ. ოდესის „ჩერნომორეცი“. შარშან თამაშობდა სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში), **რევაზ ძოძუაშვილი** (23 წლისა, 175 სმ, 75 კგ. თბილისის „დინამო“), **გრიგორი იანეცი** (20 წლისა, 170 სმ, 70 კგ. მოსკოვის „ტორპედო“. გამოდიოდა ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებისა და ოლიმპიური გუნდის სახელით).

ნახევარდაცვაში ხუთი კანდიდატი გვყავს: **ვლადიმერ მუნტიანი** (22 წლისა, 170 სმ, 69 კგ. კიევის „დინამო“. სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი. 1966 წელს მეორე ნაკრებში თამაშობდა, 1968 წლიდან— პირველში), **ვლადიმერ სახაროვი** (20 წლისა, 170 სმ, 68 კგ. მინსკის „დინამო“. ნაკრების დებიუტანტი) **ნიკოლოზ კისელიოვი** (22 წლისა, 175 სმ, 65 კგ. მოსკოვის „სპარტაკი“, ნაკრების დებიუტანტი), **ალექსანდრე ჩუმაკოვი** (20 წლისა, 174 სმ, 70 კგ. მოსკოვის „ტორპედო“. ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის. ნაკრების დებიუტანტი), **ალექსეი ესკოვი** (24 წლისა, 180 სმ, 76 კგ. დონის როსტოვის ასკ. 1964 წლიდან გამოდიოდა სსრ კავშირის ახალგაზრდული, 1965 წლიდან მეორე, შემდეგ კი პირველი ნაკრები გუნდების სახელით).

სსრ კავშირის ნაკრების იერიშებში მონაწილეობას მიიღებენ: **ბერადორ აბდურაიმოვი** (25 წლისა, 175 სმ, 74 კგ. ცსკა), **სლავა მეტრეველი** (32 წლისა, 172 სმ, 79 კგ. სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „დინამოს“ მოთამაშე. ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშია 1958 წლიდან. ამ გუნდის შემადგენლობაში ითამაშა 54 მატჩი. 1962 და 1966 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე), **ვიტალი ხმელნიცკი** (25 წლისა, 175 სმ, 72 კგ. კიევის „დინამო“. გამოდიოდა სსრ კავშირის ჭაბუკთა, ახალგაზრდული და ოლიმპიური ნაკრები გუნდების სახელით. ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ითამაშა 11 მატჩი), **ანატოლი ბიშოვეცი** (22 წლისა, 176 სმ, 72 კგ. კიევის „დინამო“. ეროვნულ გუნდშია 1966 წლიდან. 1968 წლის ევროპული ჩემპიონატის მონაწილე), **მიხეილ გერშკოვიჩი** (20 წლისა, 170 სმ, 65 კგ. მოსკოვის „ტორპედო“. ეროვნულ გუნდშია 1968 წლიდან).

● **თქვენს დასახელებულ ფეხბურთელებს შორის არ არის ედუარდ სტრელცოვი, შარშანდელი შედეგების მიხედვით აღიარებული ქვეყნის საუკეთესო მოთამაშე; არ არის სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გოჩა გავაშელი, არ არიან ვლადიმერ კოზლოვი, გენადი ევრიუჟიხინი, ვიქტორ ანიჩკინი და ზოგიერთი სხვა ფეხბურთელი. რატომ არ შედიან ისინი ნაკრების შემადგენლობაში?**

— ამ შეკითხვაზე ერთბაშად პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან მიზეზები, რომელთა გამოც თქვენს დასახელებულ სპორტსმენებზე ვთქვი უარი, ერთნაირი არ არის. რაც შეეხებათ კოზლოვსა და ანიჩკინს, ისინი ნაკრების კანდიდატთა რიცხვში არიან, მაგრამ ლათინურ ამერიკაში თავიანთ კლუბთან „დინამოსთან“ ერთად იყვნენ. შეგიძლიათ მერწმუნოთ, ისეთ საქმეში, როგორიცაა სსრ კავშირის ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევა, შემთხვევითობა და შეცდომები გამორიცხულია. მოთამაშეთა შეფასების დროს შეუთანხმებლობა შეიძლება იყოს, მაგრამ შემთხვევითობა არა.

● **ვის გამოჰყოფდით ნაკრების კანდიდატებიდან?**

— პირველ ყოვლისა, მეკარეებს. პშენიჩნიკოვი და დეგტიარევი უზადო ოსტატობას, საუცხოო ფიზიკურ მომზადებას ავლენენ. დაცვის ხაზიდან შესტერნიოვს გამოვყოფდი. იგი ჩინებულ ფორმაშია. ნახევარდაცვაში ძალიან მომწონს მუნტიანი და სახაროვი. თავდასხმაში ჯერჯერობით გამოვყოფდი მხოლოდ ნაკრების ვეტერანს მეტრეველს. მაგრამ ვფიქრობ, მე ჯერ კიდევ არ ვიცნობ კარგად ნაკრების ყველა კანდიდატს და ლათინური ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ უფრო მეტი მოთამაშის დასახელებას შევძლებ.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა 1968 წლის ევროპის პირველობაზე. ბურთს ფლობს მ. ხურცილავა. იქვე არიან უნგრელები ი. ვარგა (მარცხნივ) და კ. მესი.

ახალი ამბები

● **ბერლინი, 17 თებერვალი.** გდრ-ის მძლეოსანთა ჩემპიონატზე დარბაზებისთვის ახალი მსოფლიო მიღწევა აჩვენა ბ. დისნერმა. მან 3000 მეტრის გარბენას 7.47,8 მოანდომა. ამავე შეჯიბრებაზე 19 წლის ჰ. ბრისენიკმა ბირთვი ჰკრა 19 მეტრსა და 58 სანტიმეტრზე. ეს შედეგი ახალი ევროპული მიღწევაა.

● **ბარსელონა**, 17 თებერვალი. აქ გამართულ გფრ-ესპანეთის მძლეოსანთა ტრადიციულ მატჩში დასავლეთგერმანელმა ჭოკით მხტომელმა ჰ. ენგელმა გადალახა 523 სმ. ეს ახალი ევროპული მიღწევაა დარბაზებისთვის. მატჩი მოიგო გფრ-ის ნაკრებმა — 75:46.

● **ვარშავა**, 17 თებერვალი. **პოლონელმა ზღვაოსნებმა ბ. სიადეკმა, ი. ბონკოვსკიმ და ტ. ანდრუსევიჩმა დაიწყეს ისტორიაში პირველად წყნარი ოკეანის ბაიდარებით გადაცურვა. მოგზაურებმა „ნეპტუნის“ ტიპის 3 ბაიდარით სტარტი აიღეს ნატალესში (ჩილი).**

● **ლონდონი**, 17 თებერვალი. ფრანგი ბ. მოტესკიე განაგრძობს ლიდერობას იახტით დედამიწის გარშემო ეულად მოგზაურობაში. მოტესკიემ შარშან 21 აგვისტოს დატოვა ბრიტანეთის კუნძულები და მხოლოდ წლეულს აპრილში დაბრუნდება აქ. მისი მთავარი მეტოქეა ინგლისელი რ. ნოქს-ჯონსტონი.

● **ლეიკ-პლასიდი** (აშშ), **17 თებერვალი.** აქ გამართულ ბობსლეისტთა მსოფლიო ჩემპიონატში ორადგილიანებით ყველას აჯობეს იტალიელებმა ნ. დეზორდომ და ა. გრაცინელიმ. 1-მილიანი ტრასა მათ დაფარეს 1.06,62-ში.

● **მალაგა** (ესპანეთი), 17 თებერვალი. ტრადიციულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში — „მზიანი ნაპირი“ პირველი პრიზი გაიყვეს პ. ბენკომ (აშშ) და ა. პომარმა (ესპანეთი) — 9,5-9,5 ქულა (13-დან).

● **ჰამარსტრანდი,** 17 თებერვალი. **ჩრდილოეთ შვეციის ამ ქალაქში ჩატარებულ იუნიორთა ევროპულ ჩემპიონატზე ციგებით სრიალში გაიმარჯვა ვ. ფიდლერმა (გდრ).**

● **დონეცკი**, 17 თებერვალი. „ავანგარდის“ მანეჟში გაიმართა პროფკავშირების მძლეოსანთა ზამთრის შეჯიბრება. 50 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა როსტოველმა ა. მოროზოვმა, რომელმაც სსრ კავშირის უმაღლესი მიღწევა დაამყარა — 6,4. ამავე სახეობაში ქალებიდან უძლიერესი იყო მასპინძელთა წარმომადგენელი ს. ნესტერენკო — 7,2. ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა სსრ კავშირში. ვაჟთა შეჯიბრება 50 მეტრზე მოიგო ვ. რიაბენკომ (გორლოვკა) — 5,6. ჭოკით ხტომაში ორმა სპორტსმენმა გადალახა 5 მეტრი. პირველობა მიეკუთვნა 19 წლის ი. ისაკოვს, რომელმაც ა. მალიუტინს ცდებით მოუგო.

● **ვარშავა, 17 თებერვალი.** აქ გაიმართა მშვიდობის XXIIველორბოლის ინიციატორებისა და ორგანიზატორთა კონფერენცია, რომელმაც დაამტკიცა შეჯიბრების ტრასა და ახალი რეგლამენტი. გადაწყდა: ყოველი გუნდი შეჯიბრებაში 7-7 სპორტსმენს გამოიყვანს, ყველა ეტაპზე ჩათვლაში შევა 4-4 საუკეთესოს მაჩვენებელი. პირველი ეტაპია რბოლა ვარშავის ირგვლივ. ამ ეტაპის სტარტი შედგება 12 მაისს. ველორბოლის ფინიში მოეწყობა ბერლინში 25 მაისს.

● **ბურაუ, 18 თებერვალი.** ავსტრიის ამ ქალაქში გამართულ „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრებაში გაიმარჯვა შვეიცარიელმა ჰ. შმიდმა (პირველი ნახტომი იყო 104,5 მ, მეორე — 100 მ). მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოს არაოფიციალური რეკორდის მფლობელი ავსტრიელი რ. ბაჰლერი (104 მ და 97,5 მ), ხოლო მესამეზე — ჩეხოსლოვაკიელი ზ. ნოსაკი (102 მ და 98 მ).

● **სტოკჰოლმი**, 18 თებერვალი. **მაგიდის ჩოგბურთის იაპონელმა ოსტატებმა საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრაში დაამარცხეს შვეციის ვაჟთა ნაკრები, ანგარიშით 5:1 (ორივე კოლექტივი წარმოდგენილი იყო მეორე შემადგენლობით).**

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ცხენბურთში** — ვ. ბარათელიას (ოჩამჩირის „კოლმეურნე“), ქ. ცხადაიას, გ. ლაშქარავას, ო. კუპრეიშვილს, რ. ლაშქარავას, ქ. ჩულუას (ყველა—ცხაკაიას „კოლმეურნე“); **ქართულ ჭიდაობაში**— გ. როსტიაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი“), ა. ჭინჭარაძეს, მ. ელერდაშვილს, ნ. მუჩიაურს, გ. ერბოწონაშვილს (ყველა — საგარეჯოს „განთიადი“), ვ. ფეტვიაშვილს (თელავის „კოლმეურნე“), ვ. ნასყიდაშვილს (გორის რაიონის „კოლმეურნე“); **ლელობურთში** — ვ. ახალაიას, მ. ვაშაკიძეს, რ. ქიმბარაშვილს, ბ. პაპავას, ჯ. თორიას, რ. სტურუას, გ. დიასამიძეს, ი. წიკლაურს, რ. ქიმაძეს, ჯ. ნიჟარაძეს, მ. ვანიშვილს, მ. ბოდოკიას, ლ. ჩოქორაიას, ჯ. გრიგოლიას, თ. ცაგარეიშვილს, ნ. ჩიქობავას (ყველა — სამტრედიის „კოლმეურნე“), ზ. კაკაბაძეს (ბათუმის „ლოკომოტივი“), თ. თხილაიშვილს, ა. გელავას (ორივე — ბათუმის „ბურევესტნიკი“), მ. დარჩიაშვილს, ა. ბაწაშვილს (ორივე — გურჯაანის „კოლმეურნე“).

ოკეანისგაღმელები ემზადებიან

სურათზე: მეხიკოს ოლიმპიური თამაშები. 100 მეტრზე ფინალური გარბენის მონაწილენი დისტანციის მე-60 მეტრზე. ბილიკების მიხედვით — 1. ჩ. გრინი (აშშ), 2. მონტესი (კუბა), 3. ჰაინსი (აშშ), 4. მილერი (იამაიკა), 5. პენდერი (აშშ), 6. ბამბიუკი (საფრანგეთი), 7. ჯერომი (კანადა), 8. რაველომენტსოა (მადაგასკარი). გაიმარჯვა ჰაინსმა (9,9 წამი, მსოფლიო რეკორდის გამეორება), მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს მილერმა (10,0 წ.) და ჩ. გრინმა (10,0 წ.).

ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსნებს მეხიკოს ოლიმპიადაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ალბათ მადა გაეხსნათ, რომ ახალი სეზონისთვის მზადება ასეთი გულმოდგინებით დაიწყეს. სამოყვარულო სპორტის კავშირის ხელმძღვანელობამ ოლიმპიადიდან დაბრუნებისთანავე შეიმუშავა სამერმისო გეგმა. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ახალ სეზონში მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირზე — ამერიკისა და ევროპის კონტინენტების ნაკრები გუნდების მატჩზე, რომელიც ივლისში შტუტგარტში ჩატარდება.

სწორედ ამ შეჯიბრებისთვის მზადების პროგრამაში შედიოდა პორტლენდის (ორეგონის შტატი), ბოსტონის (მასაჩუსეტსის შტატი), ჰიუსტონისა და ფორტ-უერტის (ორივე — ტეხასის შტატი), ოკლენდისა და ინგლვუდის (ორივე — კალიფორნიის შტატი), ნიუ-იორკის, სიეტლის (ვაშინგტონის შტატი) და სხვა ქალაქების დარბაზებში გამართული საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც მსოფლიოს ბევრი ცნობილი ათლეტი გამოდიოდა.

შედეგები ყველა შეჯიბრებაში უმეტესად მაღალი იყო, ზოგ ტურნირში კი მსოფლიოს მიღწევებზე უკეთესი შედეგები აჩვენეს. ოკლენდში, მაგალითად, შარშან დამშვებულმა ნ. სტეინჰაუერმა ბირთვი 20,47 მეტრზე ჰკრა, სიეტლში, 400 მეტრზე რბენაში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ლ. ევანსმა, 11 ათასი მაყურებლის თვალწინ იერიში მიიტანა მსოფლიო მიღწევაზე 500 იარდზე რბენაში (55,3), მაგრამ მიზნის შესრულებისთვის მხოლოდ 1 წამი არ ეყო. 2 მილზე კარგი შედეგი აჩვენა ავსტრალიელმა კ. ო' ბრაიენმა—8.40,3. ჯ. ლილიმ 1000 იარდზე რბენაში აჯობა ოლიმპიადის ფინალისტს (800 მეტრზე), ჩეხოსლოვაკიელ ი. პლახის.

ფორტ-უერტში ტ. ვან რიუდენმა ახალი ეროვნული რეკორდი დაამყარა 1000 იარდზე რბენაში — 2.07,7, რაც ამ სახეობის ისტორიაში მესამე შედეგია. რ. სიგრენი, რომელმაც მანამდე ინგლვუდში ჭოკით 533.5 სმ დაძლია და ნახევარი სანტიმეტრით გააუმჯობესა მსოფლიო მიღწევა, ამჯერად 503 სანტიმეტრს დასჯერდა.

ინგლვუდში გამართული ასპარეზობის სანახავად 14 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი. სიგრენის რეკორდის გარდა, ისინი სტუმრების კარგი შედეგების მოწმენიც გახდნენ. მაგალითად, 1000 იარდზე რბენა მოიგო 800 მეტრზე რბენაში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, ავსტრიელმა რ. დაუბელმა—2.06,3.

ჰიუსტონში ხის ახალ 322-მეტრიან ბილიკზე 100 იარდზე რბენაში სარეკორდო შედეგი (9,4) აჩვენა ერთდროულად ორმა სპორტსმენმა — ს. მილერმა (იამაიკა) და ადრე უცნობმა ჯ. გრინმა. ჰ. მაკ-ალპანემ 0,9 წამით გააუმჯობესა მსოფლიო მიღწევა 600 იარდზე რბენაში. მისი შედეგია 1.08,1. აქ სიგრძეზე ხტომაში იმარჯვა პ. პოუსიმ (7,63 მ), რომელმაც 20 სმ მოუგო ცნობილ ბოსტონს.

ნიუ-იორკის დარბაზში, რომელიც მსოფლიოში უდიდესია, 42 ოლიმპიელი ასპარეზობდა. სარეკორდო იყო მაყურებელთა რიცხვიც — 18 ათასი. შედეგები მაღალი გამოდგა. ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. დავენპორტს 60 იარდზე თარჯრბენში ამ დღეს მსოფლიო მიღწევამდე 0,1 წამი დააკლდა — 6,9. მაკ-ალპანემ ყველას აჯობა 500 იარდზეც — 56,9. 600 იარდზე გათამაშდა ევროპის ჩემპიონისა და 1908-1912 წლების ოლიმპიადების პრიზიორის მ. შეპარდის სამახსოვრო პრიზი. იგი ი. პლახიმ მოიგო — 1.54,4. აქვე ახალგაზრდა რ. ჯურდენმა 216 სმ სიმაღლე გადალახა.

პორტლენდში გამართულ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა ბერძენმა ქ. პაპანიკოლაუმ, რომელმაც ჭოკით 522 სმ დაძლია. სიმაღლეზე ხტომაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. ფოსბიურიმ წინ გაუშვა დ. დინდსეი— 208,5 სმ, რომელმაც ფავორიტს 5 სმ მოუგო.

ბოსტონში დავენპორტმა ახალი მსოფლიო მიღწევა დაამყარა 45 იარდზე თარჯრბენში — 5,8. 16-კილოგრამიანი [illegible] ტყორცნაში 27 წლის ძალოსანმა ჯ. ფრენიმ 22 მ, 34 სმ აჩვენა და 64 სმ-ით გააუმჯობესა 9 წლის წინ ჰ. კონოლის მიერ დამყარებული მსოფლიო მიღწევა. აღსანიშნავია, რომ ფრენის უროს ტყორცნაში შესანიშნავი შედეგები აქვს, იგი 70 მეტრამდე აღწევს და ვარაუდობენ, რომ წლევანდელ მსოფლიო რეკორდზეც მიიტანს იერიშს. სიგრძეზე ხტომაში რ. ბიმონი არ გამოვიდა, რადგან ფეხი ჰქონდა ნატკენი. გაიმარჯვა ნ. ტეიტმა — 7,67 მ.

როგორც ხედავთ, ამერიკელები კარგა ხანია გულდასმით ემზადებიან კონტინენტების მატჩისთვის, ევროპაში კი, შეიძლება ითქვას, ახლა იღვიძებენ. მიუხედავად ამისა, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამერიკელები შტუტგარტიდან შინ ბევრს ვერაფერს წაიღებენ. ვნახოთ!

ყოველი მხრიდან

გაბლის ოქროს მამალი

ავსტრიელი სპორტსმენის ჰერტრუდა გაბლის გამარჯვება სლალომში სამთო-მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრების — კანდაჰარის რბოლის სენსაცია იყო. 20 წლის სპორტსმენმა ჩამოიტოვა სახელგანთქმული ფრანგი მოთხილამურეები ფლორენს სტიორერი და იზაბელა მირი, რომლებიც ტურნირის ფავორიტებად ითვლებოდნენ. საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ბერანჟემ განაცხადა, მსგავსი არაფერი მინახავსო და სპორტსმენს გადასცა საფრანგეთის სათხილამურო კავშირის საპატიო ჯილდო — ოქროს მამალი.

სურათზე: გ. გაბლი დისტანციაზე.

რასაკვირველია, ჟურნალისტებმა მყისვე ჩამოართვეს ინტერვიუ გამარჯვებულს. სპორტსმენმა დიდი სიამოვნებით უამბო მათ თავის თავზე. გაბლის მამა და ბიძა ერთ დროს ავსტრიის ეროვნულ ნაკრებში შედიოდნენ, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშაობდნენ სამთომოთხილამურეთა მწვრთნელებად. „ასე რომ, — განაგრძობს გაბლი, — მე სპორტსმენთა ოჯახში დავიბადე. კანდაჰარის მთებს ძალიან კარგად ვიცნობ. თხილამურებზე თითქმის აკვნიდან გადმოსული დავდექი. გზას თოვლი რომ დაფარავდა, დედა დაბლა, ხეობაში მგზავნიდა პურისა და რძისთვის. მომწონდა მთის კალთებზე დაშვება.

მაგრამ წარმატება თავისით არ მოსულა. საათობით რომ არ მევარჯიშა, ნამდვილი მოთხილამურე ვერასოდეს გავხდებოდი. ზამთარ-ზაფხულ მთელი კვირა წვრთნისთვის მაქვს დანაწილებული და შეღავათი არ ვიცი".

სპორტსმენს ჰკითხეს, აპირებს თუ არა პროფესიონალებში გადასვლას. „არა, არ ვაპირებ, — თქვა გამარჯვებულმა. — ჯერ ერთი, ძალიან მიყვარს სამთო-სათხილამურო სპორტი და არ მინდა იგი შემოსავლის წყაროდ ვაქციო. ამას გარდა, ვოცნებობ საპოროს ოლიმპიურ თამაშებზე. ფრანგულ ოქროს მამალს თილისმასავით წავიღებ იქ და იმედი მაქვს, იგი ბედნიერებას მომიტანს".

აშკარად ჩანს

ბოლო ხანებში დასავლეთგერმანულ პრესაში სულ უფრო ხშირად უტევენ გფრ-ის მოყვარულ მოკრივეთა კავშირის პრეზიდენტს გ. კრაუზეს. რით ვერ ასიამოვნა კრაუზემ ბონელ მოღვაწეებს?

როგორც ცნობილია, ევროპის წლევანდელი ჩემპიონატი კრივში გფრ-ში უნდა ჩატარებულიყო. მაგრამ სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციამ შპორტბუნდს მოსთხოვა გარანტია, რომ ჩემპიონატში არც ერთ ქვეყანას არ შეუქმნიან დისკრიმინაციის საფრთხეს და პირველ ყოვლისა მოაგვარებენ დროშების აღმართვისა და ეროვნული ჰიმნების შესრულების საკითხს.

გფრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბენდამ უარი თქვა ამ გარანტიაზე. მან განაცხადა: მთავრობის პოლიტიკა, რომელიც არ აღიარებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, სპორტშიც ძალაში რჩებაო. კრაუზემ ეს საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელობას აცნობა. კრაუზეს არც ის დაუმალავს, რომ პირადად იგი და დასავლეთგერმანელი სპორტსმენები არ იზიარებენ ამგვარ პოზიციას და ორივე გერმანული სახელმწიფოს თანაბარუფლებიანი, მეგობრული სპორტული კავშირის მომხრენი არიან.

ამიტომ ესხმიან თავს კრაუზეს. იგი უნდა გადადგეს, მის ადგილზე კი ახალი პრეზიდენტი ინიშნება.

ვინ არის კრაუზეს მემკვიდრე? მისი სახელია გერმან შიუტცი. გფრ-ის პრესა მკითხველს დაწვრილებით უამბობს მასზე. იგი წერს, რომ შიუტცი ბოთლებში ყვავილებს ზრდის და თავის მეგობრებს მიუძღვნის ხოლმე. ეს მისი ჰობია. ძირითადი პროფესია? „ცენტრის" ჯგუფის პოდპოლკოვნიკი ბუნდესვერის მანჰეიმ-სეკენჰეიმის შტაბში. „სამხედრო მამაცობა, გადაჭრით მოქმედება, მისწრაფება, რომ მუდამ წინ იყოს და მეტოქე დაჯაბნოს, — ასე წარმოგვიდგება ამ კაცის სახე", — აღტაცებულია დასავლეთგერმანული ჟურნალი „ბოქსშპორტი". ჟურნალი საღებავებს არ იშურებს შიუტცის დასახასიათებლად. იგი მხოლოდ ერთს არ ამხელს: გერმან შიუტცი მორწმუნე ნაცისტია, იგი მაიორის ჩინამდე მივიდა ჰიტლერულ ვერმახტში. პარტიზანებთან და მშვიდობიან მოსახლეობასთან ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის მან „რაინდის ჯვარი" მიიღო. ომის შემდეგ უფროსებმა არ დაივიწყეს შიუტცის დამსახურება. ჯერ ერთი თბილი ადგილი გამოუძებნეს „ავგ"-ის კონცერნში, შემდეგ კი ბონში, ბუნდესვერის გენერალურ შტაბში მისცეს პოსტი.

და აი, ახლა მოკრივეთა კავშირის ახალგამომცხვარი პრეზიდენტი სოლდაფონის სილენჩით იჩქარის განაცხადოს: „მე მზად ვარ დავიკავო ეს პოსტი. მაგრამ წინასწარ გაფრთხილებთ: მთელი ხელისუფლება მე უნდა მეკუთვნოდეს. კავშირში წესრიგი უნდა დავამყაროთ, უნდა გავამდიდროთ იგი ისეთი ტრადიციებით, როგორიც არსებობს, მაგალითად, ყოფილ ფრონტელთა გაერთიანებაში. პირადად მე ჩემს თავზე ვიღებ სპორტსა და ბუნდესვერს შორის კავშირის დამყარებას".

მაშ ასე, დასავლეთ გერმანიის მოკრივეთა კავშირის ახალი პრეზიდენტის სახე აშკარად ჩანს. აშკარაა ისიც, რომ ბონი სპორტსაც კი თავისი მილიტარისტული და რევანშისტული მიზნებისთვის იყენებს.

ფეხბურთელები რომ არ მოიპარონ

რამდენიმე თვის წინ შვეციაში შეიქმნა კომიტეტი, რომელსაც ჰქვია „ფეხბურთი — 70". ამ კომიტეტში შევიდნენ ფეხბურთის სპეციალისტები, სპორტსმენები, მსაჯები, ჟურნალისტები. კომიტეტს უნდა დაესახა შვედური ფეხბურთის რეფორმის გეგმა.

და აი, ამ დღეებში გეგმა გამოქვეყნდა. იგი 35 პუნქტისგან შედგება. შვეციის სპორტული საზოგადოებრიობა, რა თქმა უნდა, მაშინვე შეუდგა პროექტის განხილვას. განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია შემდეგმა პარაგრაფმა: „ფეხბურთელს, რომელიც უცხოური კლუბის სახელით გამოდიოდა, სამშობლოში დაბრუნებიდან ორი წლის მანძილზე შვედურ გუნდში თამაშის უფლება არა აქვს". „უცხოელი შვედების" სახელით ამ პარაგრაფის გამო აღშფოთდა ცნობილი ფეხბურთელი აგნე სიმონსონი, რომელსაც ხან ერთი უცხოური კლუბი ყიდულობს, ხან მეორე. მაგრამ კომიტეტმა ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება: „ამერიკელმა მენეჯერებმა აგერ უკვე სამი წელია საუკეთესო შვედი ფეხბურთელების გადაბირება დაიწყეს, ჰპირდებიან მათ დოლარებს. ქურდობას ზღვარი უნდა დაედოს და ეს ზღვარი ორწლიანი „აკლიმატიზაცია" იქნება".

▲ **ოსლო.** სკანდინავიის ქვეყნების ჩოგბურთელთა ჩემპიონატში ქალებში გაიმარჯვა კ. ზანდბერგმა, ვაჟებში — ო. ბანგსტონმა (ორივე — შვეცია).

▲ **ბერლინი.** ევროპის პირველობის შესარჩევ შეჯიბრებაში, რომელიც ადგილობრივ დარბაზში გაიმართა, კარგი შედეგები მოიპოვეს: სიგრძეზე ხტომაში — ბეერმა — 773 სმ, 1500 მ რბენაში — ზაიდერმა — 3.46,4, ბირთვის კვრაში — როტენბურგმა—18,39 მ, 3000 მეტრზე რბენაში — ჰერმანმა — 8.02,4. 60 მეტრზე თარჯმორბენალ ქალებში პირველი იყო ბალცერი — 7,8.

▲ **ჰარმიშ-პარტენკირხენი.** ქალთა გიგანტურ სლალომში პირველობა მოიგო მ. კოჰრენმა (აშშ), მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ა. ფაკო და ი. მირი (ორივე — საფრანგეთი). ეს ტურნირი მსოფლიო თასის გათამაშების ჩათვლაში არ შედიოდა.

▲ **ფილადელფია.** ქალაქის ყველაზე დიდ დარბაზში დაიწყო ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. I ტურში ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონმა ი. კოდეშმა დაამარცხა აშშ-ის ჩემპიონი ა. აში — 6:4, 4:6, 6:2. ჩ. პასარელმა (აშშ) მოუგო რ. ემერსონს (ავსტრალია) — 6:3, 6:2, დ. ტეილორმა (ინგლისი)— ჯ. ლუცს (აშშ) — 6:3, 6:3, ჯ. ჰიმენესმა (ესპანეთი) სძლია რ. ნიუკომბს (ავსტრალია) — 9:7, 6:3.

▲ **ბუქარესტის** დარბაზში გამართულ შეჯიბრებაში რუმინეთის რეკორდსმენმა შ. იოანმა 216 სმ სიმაღლე გადალახა (ქვეყნის რეკორდია 212 სმ).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტული [illegible]

კალათბურთი. სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ვაჟთა პირველობა. „ა" კლასი. დღეს — „დინამო" (თბილისი) — ასკ (კიევი). დასაწყისი 20 ს.

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 19 თებერვალი-12 მარტი. თბილისის ვაჟთა პირველობა. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 10 უე 03967